



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
აღსრულების ეროვნული ბიურო  
ბრძანება 507



KA012092076226315

17 / ივნისი / 2015 წ.

თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის უფროსისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2014 წლის 22 დეკემბრის #1310 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2014 წლის 6 მაისის 24 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდგომში - აღსრულების ეროვნული ბიურო) მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის უფროსისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2014 წლის 22 დეკემბრის #1310 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის უფროსს/მოვალეობის შემსრულებელს მიენიჭოს იურიდიული სამსახურის წარმოებაში არსებული განცხადებების/წერილების პასუხად გასაგზავნ კორესპონდენციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება.“;

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

ოსებ ბადათურია

